ლადო პაპავა: ბიუჯეტი იზრდება, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკა შემცირდა და კიდევ უფრო შემცირდება!

გაზეთი "ასავალ-დასავალი" – 3-9 აგვისტო, № 31, 2009

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებზე ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა გვესაუბრება:

–ბატონო ლადო, როგორც ცნობილია, მომზადებულია ცვლილებები „ეროვნული ბანკის შესახებ" კანონში, რომლის თანახმადაც მას უნდა დაუბრუნდეს საზედამხედველო ფუნქცია. რა შედეგს მოიტანს ეს ნაბიჯი?

– ლადო გურგენიძის პრემიერ-მინისტრობის ერთ-ერთი ძირითადი შეცდომა იყო ის, რომ მან ეროვნული ბანკი, როგორც ინსტიტუტი, პრაქტიკულად გაანადგურა. ეროვნულმა ბანკმა დაკარგა საზედამხდველო ფუნქცია და კანონში ჩაიდო ისეთი დებულებები, რაც მას პირდაპირ მთავრობის დაქვემდებარებაში აქცევდა. ეროვნული ბანკის გაკონტროლების სურვილი ჰქონდა ყველა შევარდნაძის ეპოქის ყველა სახელმწიფო მინისტრს და სააკაშვილის ყველა პრემიერ-მინისტრს, მათ შორის ჟვანიასაც. ეს სურვილი ჰქონდა „მოქალაქეთა კავშირსაც" და აქვს „ნაციონალურ მოძრაობასაც." ებრძოდნენ ჯავახიშვილსაც, მანაგაძესაც და გოცირიძესაც. ჯავახიშვილი დაამარცხა „მოქალაქეთა კავშირმა". მოიყვანეს ირაკლი მანაგაძე, ეგონათ, რომ მის პირობებში საშუალება ექნებოდათ ხელი ეფათურებინათ ეროვნული ბანკის საცავებში, მაგრამ ვერც მის დროს მოახერხეს ეს და ამიტომაც როცა 7 წლიანი ვადა გაუვიდა, ხელმეორედ აღარ აირჩიეს. შემდეგ მოიყვანეს „ნაციონალური მოძრაობის" გამორჩეული აქტივისტი რომან გოცირიძე, ფიქრობნდნენ, რომ ის პოლიტიკურად დამყოლი იქნებოდა, მაგრამ არა, ისიც პირველ რიგში, პროფესიონალი აღმოჩნდა. ფაქტია, რომ რომან გოცირიძის დროსაც ვერაფერი გააკეთეს, ამოტომაც შეუქმნეს პირობები, რომ დაეწერა განცხადება და გადამდგარიყო.

დღეს საქართველოს მთავარ ბანკს ხელმაძღვანელობს გიორგი ქადაგიძე, რომელიც ჩემი ყოფილი სტუდენტია. იგი საკმაოდ ამბიციურია და როგორც

ამბობენ, აქვს დიდი მხადრაჭერა ზურაბ ადეიშვილისგან; კარგია, თუ ამ მხარდაჭერას ეროვნული ბანკის გასაძლიერებლად გამოიყენებს. მან წამოაყენა იდეა, რომ ბანკს დაუბრუნდეს საზედამხედველო ფუნქცია. ახალ კანონპროექტში მოხსნილია ის მუხლები, რომელიც მას მთავრობის დაქვემდებარების ქვეშ აქცევს, მაგრამ რამოდენიმე ნონსენსი მაინც დარჩა. საქართველოს კონსტიტუციითა და „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონით, ბანკის უმაღლესი ორგანო არის ეროვნული ბანკის საბჭო, საიდანაც აირჩევა მისი პრეზიდენტიცა და ვიცე-პრეზიდენტებიც. დღეს მოქმედი მახინჯი კანონით ფინანსური ზედამხედველობის სამსახურსაც ჰყავს თავისი საზედამხედველო საბჭო, რომლის რიგითი წევრიც არის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. კურიოზი ის გახლავთ, რომ მომზადებული ცვლილებების თანახმად ეს საფინანსო ზედამხედველობის სამსახური ეროვნული ბანკის სტრუქტურაში უნდა ჩაისვას, როგორც მისი ერთ-ერთი დეპარტამენტი, თუმცა, საზედამხედველო საბჭო მაინც რჩება. ეს ხომ ნონსენსია, როგორ შეიძლება დეპარტამენტს ჰყავდეს თავისი ცალკე საბჭო, რომლის ერთ-ერთი რიგითი წევრი არის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და მას პარლამენტი ამტკიცებს? ეს ეწინააღმდეგება ნებისმიერ ლოგიკას. ეროვნული ბანკის უმაღლეს ორგანოს კი ახალი კანონპროექტითაც ჩამორთმეული აქვს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრის პრეროგატივა, რაც ასევე ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

ჩემთვის ყველაზე დიდი კურიოზი მაინც ის არის, რომ ამ ცვლილებების ინიციატორად დასახელებულია საფინასო-საბიუჯეტო კომიტეტი. ერთი კაცი მაინც დამისახელეთ ამ კომიტეტიდან, რომელმაც იცის, რას წარმოადგენს ეროვნული ბანკი.

ეროვნული ბანკი არის ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძველი. იგი განსაზღვრავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, ფულის მასის მიწოდებას, რომ ინფლაცია არ გაიზარდოს, ის განაპირობებს გაცვლითი კურსის სტაბილურობას, უყურებს როგორ იზრდება რეზერვები, რამდენად სტაბილურია საბანკო სისტემა, ხომ არ ექმნება რომელიმე ბანკს გაკოტრების საფრთხე – ამ ყველაფრის პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა მძიმე დღეში ჩააყენა.

– ვარაუდობენ, რომ შემოდგომაზე საქართველოს ბიუჯეტს და ეკონომიკას კიდევ უფრო მძიმე დღე ელის...

– რეალურად მდგომარეობა მართლაც მძიმეა, ბიუჯეტში მიღებული იქნა ცვლილებები, სადაც საბიუჯეტო შემოსავლების გეგმა შემცირდა ნახევარი მილიარდით. თუმცა, ბიუჯეტის პარამეტრები გაიზარდა 314 მილიონით. ეს იმას ნიშნავს, რომ ბიუჯეტის პარამეტრები ძირითადად გაიზარდა დახმარების ხარჯზე, რომელსაც უცხოეთიდან ვიღებთ. კიდევ უფრო გასაგებიად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს იმას, რომ ბიუჯეტს პრობლემა არ აქვს ფინანსური დახმარების გამო, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკა განიცდის ვარდნას.

ამასთან ამ გაზრდილ ბიუჯეტის პარამეტრებში არის ერთი კომპონენტი, ეს არის 260 მილიონი ლარი, რომელიც წარმოადგენს სახაზინო ვალდებულებებს, რაც ნიშნავს იმას, რომ მთავრობა კომერციული ბანკებიდან იღებს სესხს ბიუჯეტის ხარჯების დასაფინასებლად. ეს ბანკებისთვის საკმაოდ კარგია, რადგან მათ დღეს უჭირთ რისკის გაწევა ბიზნესის დასაკრედიტებლად. მათ მთავრობა სთავაზობს ფასიან ქაღალდებს, ისინი მთავრობას მისცემენ 260 მილიონს, ფეხს ფეხზე გადაიდებენ და სამაგიეროდ მიიღებენ თავის პროცენტს. როგორც გითხარით, ეს კარგია მათი სტაბილურობის შესანარჩუნებლად, მაგრამ ეკონომიკის განვითარებისთვის ძალიან ცუდია. 260 მილიონი, რომელიც ბანკს შეეძლო გაეცა ეკონომიკის, ბიზნესისა და წარმოების დასაკრედიტებლად, მთავრობის ხარჯების დასაფინანსებლად წავიდა, ანუ ხვალ ეკონომიკა კიდევ უფრო ნაკლებ გადასახადებს შექმნის და კიდევ უფრო გაუჭირდება ბიუჯეტს.

– მცირე ხნის წინ მთავრობა, თავად ასესხა ფული „სახალხო ბანკს“, აქაოდა, ბიუჯეტში ჭარბი ფული არისო, ახლა იგი თავად სესხულობს ბანკისგან?

– დიდი მადლობა ამ შეკითხვისთვის. დიახ, სანამ მთავრობა სახაზინო ვალდებულებების ემისიას გადაწყვეტდა, განაცხადა, რომ ბიუჯეტში არის "აუთვისებელი" 50 მილიონი და ტყუილად რომ არ იდოს, რომელიმე კომერციულ ბანკში ჩავდოთო; ჩაატარეს ტენდერი, კაცმა არ იცის, როგორი და გაიმარჯვა „სახალხო ბანკმა“.

ჯერ ერთი, თუ 50 მილიონი თავისუფალი გაქვს, ვალს რატომ იღებ? ანუ შენ სხვას აძლევ ფულს და მერე სესხულობ? ეს ხომ ნონსენსია. მაგრამ მოდით, ახლა შინაარსობრივად შევხედოთ ამ საკითხს. მათ ასესხეს 50 მილიონი „სახალხო ბანკს“, რომელმაც ეს ფული მთავრობას უნდა დააბრუნოს 5 პროცენტით, თავად სესხულობენ ფულს, სადაც წლიური 13

პროცენტი ექნებათ გადასახდელი. ხომ შეიძლება ეს სახაზინო ვალდებულებები იყიდოს ისევ „სახალხო ბანკმა“? გამოდის, რომ მთავრობა თავისივე გასესხებულ ფულს უკან ისესხებს და დამატებით პროცენტსაც მიიღებს. არის თუ არა ეს მაქინაცია, მკითხველმა განსაჯოს...

– პარლამენტის ქუთაისში გადატანის იდეა რამდენად მისაღებია თქვენთვის?

– პარლამენტი მთლიანად რომ გადადიოდეს ქუთაისში, ბევრად უკეთესია, ვიდრე, პარლამენტის გახლეჩვა ორ ნაწილად. ქუთაისში იქნება სესიები და საკომიტეტო მოსმენები თბილისშიო. კი, მაგრამ სესიების დროსაც რომ საჭიროა საკომიტეტო მოსმენების ჩატარება? ამ დროს თბილისში უნდა გამოიქცნენ პარლამენტარები? თუ პარლამენტის აპარატი სესიებს უნდა დაჰყვებოდეს თან? ვინმემ დათვალა, რა დაუჯდება ეს ქვეყანას? მდიდარ ქვეყანას შეუძლია დახარჯოს ამაში ფული, გეოპოლიტიკური მოსაზრებებიდინ გამომდინარე. ჩვენ რატომ ვაკეთებთ ამას? ეს იცით რას ჰგავს? “სოფლის შენებას რა უნდაო და კარგი პირველის თქმა უნდაო...” ამათ ჰგონიათ, რომ თუ ქუთაისში კარგ პირველ ხმას შემოსზახებენ, ქვეყანა აშენდება. მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს არ მოხდება, თავად თქვეს, რომ ამ პარლამენტს არ ეხება ეს. ჩემი აზრით, ამ თემის წამოჭრა ემსახურება ერთ მიზანს – მთელი ყურადღება გადმოვიდეს ამ სისულელეზე და ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი სხვა საკითხები ყურადღების მიღმა დარჩეს.

– ბაიდენის ვიზიტს როგორ შეაფასებთ, იგი პოლიტიკურთან ერთად ეკონომიკურ მხარდაჭერასაც დაგვპირდა. ეს ქვეყნისასთვის გამოცხადებული მხარდაჭერაა თუ ამ ხელისუფლებისთვის?

– ბაიდენის ჩამოსვლა კარგია და დაებითად შევაფასებდი, ჩვენ რომ გვყავდეს ნორმალური ადამიანებით დაკომლექტებული ხელისფლება, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ბაიდენის ჩამოსვლის შემდეგ ერთგვარი შიშიც მაქვს, რომ ეს ვიზიტი, ისევე როგორც თავის დროზე ბუშის ვიზიტი, ამ ხელისუფლებამ სათავისოდ არ გამოიყენოს და არ დაიწყოს ახალი ტალღა ადამიანების გაუბედურებისა, შენობების დანგრევისა, ქონების ჩამორთმევისა. ბაიდენმა თქვა, რომ რევოლუცია არ დასრულებულა მანამ, სანამ დემოკრატიული გარდაქმენი არ ჩატარდებაო. ჩვენი ყველას სურვილია, რომ რევოლუცია დროზე დასრულდეს.

ესაუბრა თეა ასათიანი